შავი ყორანი

გზა ▭▭ ვიარე... მსურს მოვიხედო
და დავინახო მთისა ქედები,
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
ნუ იხედები... ნუ იხედები!"
გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
"შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!"
მაგრამ სადა ვარ? — გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც "გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.
გადაიფრინა და მომაგონა
დრო, უბედობის გვერდით მხლებელი,
ჟამი, ყველაფრის მქნელ–გარდამქნელი,
სივრცე, ყველაფრის მიმტევებელი.